სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/39

ქ. თბილისი

27 იანვარი 2020

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად
არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის და „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტები) არჩევნების ჩატარების შესახებ დებულების“ მე-3, მე-4, 22-ე და 23-ე მუხლების და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 27 იანვრის №01-05-02/06 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. გამოცხადდეს არჩევნები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად;
2. არჩევნების შესახებ განცხადება პრესაში გამოქვეყნდეს 2020 წლის 29 იანვარს;
3. დანართი №1-ის შესაბამისად დამტკიცდეს განცხადება ბეჭდვითი მედიის ორგანოში გამოსაქვეყნებლად;
4. არჩევნებში მონაწილე პრეტენდენტთა რეგისტრაცია დაიწყოს 2020 წლის 5 თებერვალს და დასრულდეს 2020 წლის 11 თებერვალს;
5. პრეტენდენტთა სამოქმედო პროგრამების მოსმენა აკადემიურ საბჭოში გაიმართოს 2020 წლის 14 თებერვალს;

6. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნები აკადემიურ საბჭოში ჩატარდეს 2020 წლის 18 თებერვალს;

7. ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია პირს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

გ) აქვს ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება;

8. პრეტენდენტმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება აკადემიური საბჭოს სახელზე;

ბ) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი და ასლი;

გ) სამეცნიერო-პედაგოგიური და ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) სამოქმედო გეგმა;

ე) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ვ) ავტობიოგრაფია (CV), გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების მითითებით;

ზ) 2 ფოტოსურათი,ზომით 3X4-ზე;

9. დამტკიცდეს კანდიდატის სარეგისტრაციო ჟურნალის, განცხადების, საჩივრების სარეგისტრაციო ჟურნალისა და დამკვირვებელთა/მასმედიის წარმომადგენელთა სარეგისტრაციო ჟურნალის ფორმა თანდართული ნიმუშების შესაბამისად. სარეგისტრაციო ჟურნალები აიკინძოს, დაინომროს და დამოწმდეს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის და მდივნის ხელმოწერით;

10. დადგენილება ძალაშია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

11. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**

დანართი №1

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 27 იანვრის დადგენილების შესაბამისად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის არჩევნები აკადემიურ საბჭოში დაინიშნა **2020 წლის 18 თებერვალს. პრეტენდენტთა სამოქმედო პროგრამების მოსმენა აკადემიურ საბჭოში გაიმართება 2020 წლის 14 თებერვალს.**
არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა რეგისტრაცია იწყება 2020 წლის 5 თებერვალს და მიმდინარეობს 2020 წლის 11 თებერვლის ჩათვლით;

ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია პირს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:
ა) აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
ბ) აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;
გ) აქვს ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება;

პრეტენდენტმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:
ა) განცხადება აკადემიური საბჭოს სახელზე;
ბ) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი და ასლი;
გ) სამეცნიერო-პედაგოგიური და ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
დ) სამოქმედო გეგმა;
ე) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ვ) ავტობიოგრაფია (CV), გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების მითითებით;
ზ) 2 ფოტოსურათი,ზომით 3X4-ზე;

საბუთები მიიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, შემდეგ მისამართზე - თბილისი, 0160, კოსტავას ქ. #77, მე-3 სართული, ოთახი #325. საკონტაქტო პირი - დენიტა ბიბილეიშვილი, ტელ.: 0322 36 41 84, საბუთების მიიღება იწარმოებს ყოველ დღე 10^{00} -დან 17^{00} საათამდე.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიურ საბჭოს

მოქალაქე ----------

პ.ნ. ----------

მისამართი: ----------

ტელ:----------

განცხადება

გთხოვთ, ჩემი კანდიდატურა დაარეგისტრიროთ სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობაზე გამოცხადებულ ღია კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

განცხადებას თან ერთვის:

1. ----------
2. ----------
3. ----------
4. ----------
5. ----------
6. ----------
7. ----------
8. ----------
9. ----------

დანართი: სულ ------- ფურცლად.

პატივისცემით,

განმცხადებელი ----------

-------/----------/20----წ.

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ
ღია კონკურსზე დამკვირებელთა/მასმედიის რეგისტრაციის

ჟ ურ ნ ა ლ ი

№	სახელი და გვარი	პირადობის დამადასტურებელი საბუთი	ფიზიკური/ იურიდიული პირი	ორგანიზაციის დასახელება	რეგისტრაციის თარიღი	შენიშვნა	დამკვირვებლის ხელმოწერა
1	2	3	4	5	6	7	8

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ბიბლიოთეკის დირექტორისთანამდებობის დასაკავებლად

გამოცხადებულ ღია კონკურსში მონაწილე კანდიდატების

სარეგისტრაციო ჟურნალი

#	ღია კონკურსში მონაწილე კანდიდატის სახელი გვარი, პირადი #	კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (ფურცლების რაოდენობის მითითებით)	რეგისტრაციის თარიღი	კანდიდატის ხელმოწერა	შენიშვნა
1.					
2.					

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობის
დასაკავებლად გამოცხადებულ ღია კონკურსზე საჩივრების სარეგისტრაციო ჟურნალი

№	საჩივრის ავტორის სახელი,გვარი, პირადი ნომერი	საჩივრის გვერდების რაოდენობა თანდართული დოკუმენტების ჩამონათვალი	საჩივრის შემოტანის თარიღი	საჩივრის ავტორის ხელმოწერა	შენიშვნა
1	2	3	4	5	6
1.					
2.					